

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „კოკა-კოლა იმერეთი“

ფინანსური ანგარიშგება და მმართველობის ანგარიში
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

შინაარსი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგებაზე.....	3
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	4-6

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	7
სრული შემოსავლის ანგარიშგება	8
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	9
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	10

განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	11
2. მომზადების საფუძველი.....	11
3. მნიშვნელოვანი საბუღალტრო აღრიცხვის პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა	11
4. ძირითადი საშუალებები	17
5. არამატერიალური აქტივი	18
6. ფულადი სახსრები	18
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	18
8. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები.....	19
9. სხვა მიმდინარე აქტივები	19
10. მოკლევადიანი სესხები.....	19
11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	20
12. საგადასახადო ვალდებულებები	20
13. ამონაგები.....	20
14. სხვა შემოსავლები.....	20
15. მიწოდების დანახარჯები	21
16. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	21
17. სხვა ხარჯები.....	22
18. წმინდა ფინანსური ხარჯი	22
19. მოგების გადასახადი.....	22
20. პოტენციური ვალდებულებები.....	22
21. საბალანსო ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	23
22. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	23
23. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	24

მმართველობის ანგარიში.....	1-9
----------------------------	-----

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგებაზე.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქმიანობის ფინანსური შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად. ხელმძღვანელობა აგრეთვე, პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგებისა და მმართველობის ანგარიშის მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პროციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკების ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებული, საიმედო, შესადარი და გასაგები ინფორმაციის არსებობას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გაანალიზოს კონკრეტული გარიგებისა და სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსური მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე;
- კომპანიის მიერ მოქმედი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე მუშაობის უნარის შეფასებაზე;
- მმართველობის ანგარიშში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული ინფორმაციის განმარტებაზე; და
- ფინანსური ანგარიშგების შესატყვისი მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მდგომარეობით წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება და მმართველობის ანგარიში კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებულია გამოსაშვებად 2023 წლის 22 ნოემბერს.

ქართლოს კვიტივაძე

შპს „კოკა-კოლა იმერეთის“ დირექტორი

ზაზა ჩიხლაძე

შპს „კოკა-კოლა იმერეთის“ ფინანსური დირექტორი

2023 წლის 22 ნოემბერი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგებაზე.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქმიანობის ფინანსური შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად. ხელმძღვანელობა აგრეთვე, პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგებისა და მმართველობის ანგარიშის მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პროცეპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკების ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებული, საიმედო, შესადარი და გასაგები ინფორმაციის არსებობას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გაანალიზოს კონკრეტული გარიგებისა და სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსური მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე;
- კომპანიის მიერ მოქმედი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე მუშაობის უნარის შეფასებაზე;
- მმართველობის ანგარიშში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული ინფორმაციის განმარტებაზე; და
- ფინანსური ანგარიშგების შესატყვისი მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მდგომარეობით წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება და მმართველობის ანგარიში კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებულია გამოსაშვებად 2023 წლის 22 ნოემბერს.

ქართლოს კვრტივამ
შპს „კოკა-კოლა იმერეთის“ დირექტორი

ზაზა ჩიხლაძე

შპს „კოკა-კოლა იმერეთის“ ფინანსური დირექტორი

2023 წლის 22 ნოემბერი



აუდიტ-პროფესიონალი
Audit-Professional

საქართველო, ქუთაისი 4602
წმინდა ნინოს ქუჩა 21
საიდ. კოდი - 212816032
ტელ: +995 (431) 253545
Email:
auditprofesional@gmail.com

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „კოკა-კოლა იმერეთის“-ს პარტნიორსა და ხელმძღვანელს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „კოკა-კოლა იმერეთი“-ს ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ დამოუკიდებლობები ვართ შპს „კოკა-კოლა იმერეთი“-საგან, რაც გულისხმობს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსთან“ შესაბამისობას. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა გარემოება

შპს „კოკა-კოლა იმერეთის“ 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი არ ჩატარებულა.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია მოიცავს კომპანიის მმართველობით ანგარიშს 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა.

ფინანსურ ანგარიშგებაზე გამოხატული ჩვენი მოსაზრება არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებითად თანხვედრილი და მარეგულირებელ ნორმატიულ აქტების მოთხოვნებთან შესაბამისობაში, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე.



აუდიტ-პროფესიონალი
Audit-Professional

საქართველო, ქუთაისი 4602
წმინდა ნინოს ქუჩა 21
საიდ. კოდი - 212816032
ტელ: +995 (431) 253545
Email:
auditprofesional@gmail.com

თუ ჩვენ შესრულებული სამუშაოდან დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობაა ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის განცხადება.

ჩვენ არ გამოვცემთ რაიმე სახის რწმუნებას მმართველობითი ანგარიშგების შესახებ. ჩვენ წავიკითხეთ მმართველობის ანგარიში და ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე „პირობით მოსაზრების საფუძველში“ მოტანილი ინფორმაციის გარდა დავასკვნით, რომ ხელმძღვანელობის ანგარიში:

- შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებას და ის არ მოიცავს არსებით უზუსტობებს;
- მოიცავს ინფორმაციას, რომელსაც მოითხოვს და რომელიც შეესაბამება საქართველოს კანონს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს შპს „კოკა-კოლა იმერეთი“-ს ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძველად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შპს „კოკა-კოლა იმერეთი“-ს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და გამოვცეთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც შეიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვავლენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. არსებითი უზუსტობის რისკი, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით, უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული რისკი, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის უგულვებელყოფას.



აუდიტ-პროფესიონალი
Audit-Professional

საქართველო, ქუთაისი 4602
წმინდა ნინოს ქუჩა 21
საიდ. კოდი - 212816032
ტელ: +995 (431) 253545
Email:
auditprofesional@gmail.com

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ შპს „კოკა-კოლა იმერეთი“-ს შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი გაურკვევლობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა შპს „კოკა-კოლა იმერეთი“-ს ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის მოგახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება შპს „კოკა-კოლა იმერეთი“ უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

შპს „კოკა-კოლა იმერეთი“-ს ხელმძღვანელობას, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

გარიგების პარტნიორი მოცემული აუდიტისა, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორული დასკვნა, არის თამაზ სიქტურაშვილი.

თამაზ სიქტურაშვილი:

(სარეგისტრაციო ნომერი: SARAS-A-926589)

შპს „აუდიტ - პროფესიონალი“-ს სახელით

ქუთაისი, საქართველო

22 ნოემბერი 2023 წელი



აუდიტ-პროფესიონალი
Audit-Professional

საქართველო, ქუთაისი 4602
წმინდა ნინოს ქუჩა 21
საიდ. კოდი - 212816032
ტელ: +995 (431) 253545
Email:
auditprofesional@gmail.com

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ შპს „კოკა-კოლა იმერეთი“-ს შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი გაურკვევლობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა შპს „კოკა-კოლა იმერეთი“-ს ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის მოვხდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება შპს „კოკა-კოლა იმერეთი“ უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებითი შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

შპს „კოკა-კოლა იმერეთი“-ს ხელმძღვანელობას, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

გარიგების პარტნიორი მოცემული აუდიტისა, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორული დასკვნა, არის თამაზ სიქტურაშვილი.

თამაზ სიქტურაშვილი:

(სარეგისტრაციო ნომერი: SARAS-A-926589)

შპს „აუდიტ - პროფესიონალი“-ს სახელით

ქუთაისი, საქართველო

22 ნოემბერი 2023 წელი



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31.12.2022	31.12.2021
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	145 199	86 089
არამატერიალური აქტივები	5	2 579	3 087
სულ გრძელვადიანი აქტივები		147 778	89 176
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულადი ეკვივალენტები	6	737 860	27 568
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	2 353 164	2 445 914
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	8	274 968	879 609
სხვა მიმდინარე აქტივები	9	72 854	108 292
სულ მოკლევადიანი აქტივები		3 438 846	3 461 383
სულ აქტივები		3 586 624	3 550 559
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		200	200
გაუნაწილებელი მოგება		47 333	379 272
სულ საკუთარი კაპიტალი		47 533	379 472
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	10	1 257 880	1 221 000
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	2 221 436	1 942 741
საგადასახადო ვალდებულებები	12	59 775	7 346
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		3 539 091	3 171 087
სულ ვალდებულებები		3 539 091	3 171 087
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		3 586 624	3 550 559


ქართლოს კვითივაძე
დირექტორი

ზაზა ჩიხლაძე
ფინანსური დირექტორი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31.12.2022	31.12.2021
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	145 199	86 089
არამატერიალური აქტივები	5	2 579	3 087
სულ გრძელვადიანი აქტივები		147 778	89 176
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულადი ეკვივალენტები	6	737 860	27 568
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	2 353 164	2 445 914
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	8	274 968	879 609
სხვა მიმდინარე აქტივები	9	72 854	108 292
სულ მოკლევადიანი აქტივები		3 438 846	3 461 383
სულ აქტივები		3 586 624	3 550 559
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		200	200
გაუნაწილებელი მოგება		47 333	379 272
სულ საკუთარი კაპიტალი		47 533	379 472
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	10	1 257 880	1 221 000
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	2 221 436	1 942 741
საგადასახადო ვალდებულებები	12	59 775	7 346
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		3 539 091	3 171 087
სულ ვალდებულებები		3 539 091	3 171 087
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		3 586 624	3 550 559




ზაზა ჩიხლაძე
ფინანსური დირექტორი

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31.12.2022	31.12.2021
ამონაგები	13	43 644 858	34 830 978
თვითღირებულება	8	(39 333 362)	(31 392 469)
საერთო მოგება		4 311 496	3 438 509
სხვა შემოსავლები	14	121 729	39 921
მიწოდების დანახარჯები	15	(2 141 392)	(1 254 279)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	16	(1 398 567)	(1 619 383)
სხვა ხარჯები	17	(371 136)	-
საოპერაციო მოგება		522 130	604 768
წმინდა ფინანსური ხარჯი	18	(77 268)	(43 026)
მოგება დაბეგვრამდე		444 862	561 742
მოგების გადასახადი	19	(116 520)	-
წმინდა მოგება		328 342	561 742
სხვა სრული შემოსავალი		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი		328 342	561 742

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2020 წლის 31 დეკემბერი	200	(182 470)	(182 270)
წმინდა მოგება	-	561 742	561 742
2021 წლის 31 დეკემბერი	200	379 272	379 472
დივიდენდის გაცემა	-	(660 281)	(660 281)
წმინდა მოგება	-	328 342	328 342
2022 წლის 31 დეკემბერი	200	47 333	47 533

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31.12.2022	31.12.2021
მოგება დაბეგვრამდე		444 862	561 742
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	4; 5	66 265	59 297
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ზარალი	7	310 711	-
წმინდა ფინანსური ხარჯი	18	77 268	43 026
ცვლილებები საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში:			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები		(217 960)	(960 828)
მარაგები		604 641	(452 915)
სხვა აქტივები		37 554	(72 819)
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		278 695	(228 805)
სხვა საგადასახადო ვალდებულებები		52 429	(5 322)
საოპერაციო საქმიანობიდან გენერირებული წმინდა ფულადი ნაკადები მოგების გადასახადის გადახდამდე		1 654 465	(1 056 624)
გადახდილი მოგების გადასახადი	19	(116 520)	-
გადახდილი პროცენტი	10	(79 384)	(43 026)
საოპერაციო საქმიანობით გენერირებული წმინდა ფულადი სახსრები		1 458 561	(1 099 650)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა	4	(124 868)	(32 993)
საინვესტიციო საქმიანობით გენერირებული წმინდა ფულადი სახსრები		(124 868)	(32 993)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
სასესხო ვალდებულების ზრდა	10	15 939 646	10 781 859
სასესხო ვალდებულების დაფარვა	10	(15 902 766)	(9 677 946)
გადახდილი დივიდენდი	19	(660 281)	-
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობით		(623 401)	1 103 913
1 იანვრის მდგომარეობით		27 568	56 297
ფულის და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა		710 292	(28 730)
31 დეკემბრის მდგომარეობით		737 860	27 568

1. ზოგადი ინფორმაცია

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია შპს „კოკა-კოლა იმერეთი“-სთვის შენიშვნა 2-ში მითითებული მომზადების საფუძვლის შესაბამისად 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შპს „კოკა-კოლა იმერეთი“ (შემდგომში „საწარმო“) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნებულია საქართველოში, მარეგისტრირებული ორგანო საოლქო საგადასახადო ინსპექცია ქ. ქუთაისი 05/04/2006 წელს, სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი: 445/021, საიდენტიფიკაციო ნომერი - 212871230.

საანგარიშგებო პერიოდში საწარმოს 100% წილის მფლობელი პარტნიორია საქართველოს მოქალაქე - ქართლოს კვითივაძე.

საწარმოს ყოველდღიურ საქმიანობას ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელიც ამავდროულად არის საწარმოს მფლობელი პარტნიორი.

საწარმოს იურიდიული მისამართია, საქართველო, ქ. ქუთაისი, ნიკეას მე-5 ჩიხი N 6 ნაკვ. 2-4 . საწარმო საქმიანობას ახორციელებს დასავლეთ საქართველოში, კერძოდ იმერეთის და რაჭა-ლეჩხუმის რეგიონში.

2. მომზადების საფუძველი

საწარმოს ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

2022 წლის ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი მოიცავს 2022 წლის 31 დეკემბრისათვის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, სრული შემოსავლის ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებას, ასევე შესაბამის განმარტებით შენიშვნებს და 2021 წლის შესადარის ინფორმაციას.

საწარმოს მოქმედი ვალუტა არის ეროვნული ვალუტა „ლარი“, რომელიც ასახავს ძირითად მოვლენებისა და მათთან დაკავშირებული შესაბამისი გარემოებების ეკონომიკურ არსს. მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის წარსადგენ ვალუტად საწარმო იყენებს ეროვნულ ვალუტას „ლარს“.

ანგარიშგებაში რიცხობრივი მონაცემები ასახულია ერთ ლარამდე სიზუსტით.

3. მნიშვნელოვანი საბუღალტრო აღრიცხვის პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

სააღრიცხვო პოლიტიკა, რომლის საფუძველზეც მომზადდა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება გამოყენებულია მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღიდან, 2018 წლის 01 იანვრიდან. აღნიშნული ფინანსური ინფორმაცია მომზადდა შეძენის ფაქტიური ღირებულების საფუძველზე.

3.1 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს როგორც ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ასევე მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

საწარმო ყველა ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტის აღრიცხვისთვის იყენებს ამორტიზებული ღირებულების მოდელს.

საწარმოს ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტებია:

- ფულადი სახსრები - ფინანსური აქტივი;
- სავაჭრო დებიტორული დავალიანება - ფინანსური აქტივი;
- სავაჭრო კრედიტორული დავალიანება - ფინანსური ვალდებულება.
- სასესხო ვალდებულებები - ფინანსური ვალდებულება.

3.1.1 თავდაპირველი აღიარება და შეფასება

როდესაც საწარმო გახდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე, იმ მომენტიდან წარმოებს ფინანსური აქტივისა და ფინანსური ვალდებულების აღიარება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების პირველად აღიარებისას, საწარმო მათ შეფასებას ახდენს გარიგების ფასით (**გარიგების დანახარჯების ჩათვლით**, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით), თუ შეთანხმება, თავისი არსით, არ წარმოადგენს ფინანსურ ოპერაციას საწარმოსთვის, ან მისი სახელშეკრულებო კონტრაგენტისთვის. თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, საწარმო ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას აფასებს მომავალი გადასახდელების **დღევანდელი ღირებულებით**, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალდებულო ინსტრუმენტისთვის გამოყენებული **საბაზრო საპროცენტო განაკვეთით** და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

3.1.2 ამორტიზებული ღირებულება და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი

საწარმო ყველა ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტის შემდგომი აღრიცხვისთვის იყენებს ამორტიზებული ღირებულების მოდელს.

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

- (ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;
- (ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;
- (გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და
- (დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

3.1.3 თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების გაუფასურება

გაუფასურების აღიარება და შეფასება

საწარმო ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, საწარმო დაუყოვნებლივ აღიარებს გაუფასურების ზარალს მოგებაში ან ზარალში.

საწარმო ცალ-ცალკე აფასებს გაუფასურებას შემდეგი ფინანსური აქტივებისთვის:

- (ა) ყველა წილობრივი ინსტრუმენტი, მათი მნიშვნელობის მიუხედავად; და
- (ბ) სხვა ფინანსური აქტივები, რომლებიც ინდივიდუალურად მნიშვნელოვანია.

გაუფასურების ზარალის აღდგენა

თუ შემდგომ პერიოდში აქტივის გაუფასურების ზარალის თანხა შემცირდება და ამ შემცირების ობიექტურად დაკავშირება შესაძლებელი იქნება გაუფასურების აღიარების შემდგომ წარმოშობილ მოვლენასთან (როგორცაა, მაგალითად დებიტორის საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესება), საწარმომ უნდა აღადგინოს (უკუგატარებით) წინა პერიოდებში წარმოშობილი გაუფასურების ზარალი პირდაპირ, ან გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კორექტირებით.

3.1.4 ფინანსური აქტივის და ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

საწარმო წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც:

- (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია;
- (ბ) საწარმო ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს; ან
- (გ) საწარმო, მიუხედავად იმისა, რომ იტოვებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, სხვა მხარეს გადასცემს აქტივის კონტროლის უფლებას, რომელსაც გააჩნია ამ აქტივის მთლიანად გაყიდვის პრაქტიკული შესაძლებლობა ნებისმიერ არადაკავშირებულ მესამე მხარეზე.

საწარმო ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური ვალდებულების ნაწილის) აღიარებას წყვეტს, როდესაც ის შესრულებდა, ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

3.2 ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულადი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და საბანკო ანგარიშზე არსებულ ფულად სახსრებს. ფული და ფულადი ექვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

3.3 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნების თავდაპირველი აღიარება ხდება გაყიდვიდან მისაღები თანხით. ჩვეულებრივ სავაჭრო მოთხოვნებზე პროცენტის დარიცხვა არ ხდება. როდესაც რეალიზაციის ოპერაცია ცილდება ნორმალურ საკრედიტო პირობებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საწარმო აზღვევს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების შეფასებას, რათა განისაზღვროს, ხომ არ არსებობს თანხების ამოუღებლობის რაიმე ობიექტური მტკიცებულება. ასეთის არსებობის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ ხდება საექვო მოთხოვნების შეფასება და გაუფასურების ზარალის აღიარება მოგებაში ან ზარალში.

3.4 სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ნორმალურ საკრედიტო პირობებში განხორციელებული ოპერაციების დროს წარმოშობილ ვალდებულებებს, რომლებიც პროცენტის მატარებელი არ არის. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული სავაჭრო ვალდებულებების გადაყვანა ხდება ეროვნულ ფულად ერთეულში საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული გასაცვლელი კურსის გამოყენებით. კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება სხვა შემოსავალში და ხარჯებში.

საწარმოს ისტორიულად არ ჰქონია და არც საანგარიშგებო პერიოდში აქვს დასაქმებულთა საპენსიო პროგრამა, ასევე სამსახურიდან გათავისუფლების შემდგომი დამატებითი ანაზღაურების ან სხვა მნიშვნელოვანი საკომპენსაციო პროგრამები, რომლებიც მოითხოვენ დამატებით ხარჯად აღიარებასა და დარიცხვას.

3.5 ბანკის სესხები და გარანტიები

სესხები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ოპერაციის ხარჯების გამოკლებით, შემდგომში აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

3.6 სასაქონლო- მატერიალური ფასეულობები

საწარმო მარაგს აფასებს თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს საქონლის გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს: მის შეძენასთან დაკავშირებულ ყველანაირ დანახარჯს, ასევე ისეთ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოყენებულია საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულა.

3.7 წინასწარი გადახდები

წინასწარი გადახდები ხორციელდება ფაქტიური ღირებულებით, ზარალის ანაზღაურების რეზერვის გამოკლებით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდა დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც თავისთავად კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარებისას. აქტივების შეძენისთვის წინასწარი გადახდა აისახება აქტივის მიმდინარე საბალანსო ღირებულებად, მას შემდეგ, რაც საწარმომ მიიღო კონტროლი აქტივებზე და სავარაუდოა, რომ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი გადაეცემა საწარმოს. სხვა წინასწარი გადახდები გამოიქვითება მოგება-ზარალიდან, როდესაც ხდება წინასწარ გადახდილი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს ინფორმაცია, რომ წინასწარ გადახდილი აქტივების, საქონლის ან მომსახურების მიღება არ მოხდება, შესაბამისი გაუფასურების ზარალი აისახება მოგებაში ან ზარალში.

3.8 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ერთეულების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. ცვეთის დარიცხვა ხდება იმგვარად, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების განაწილება მოხდეს აქტივის მთელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის საფუძველზე. ძირითადი საშუალებების ცვეთის გაანგარიშებისთვის გამოიყენება შემდეგი პერიოდები:

- მანქანა - დანადგარები - 5-7 წ
- ავეჯი და სხვა ინვენტარი - 5-7 წ
- სატრანსპორტო საშუალებები - 5-7 წ
- იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა - 7 წ

თუ არსებობს რაიმე მინიშნება, რომ ცვეთის განაკვეთებში, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადაში ან ნარჩენ ღირებულებაში მოხდა რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება, მოხდება აქტივის ცვეთის გადახედვა და კორექტირება, რათა ასახოს მიმდინარე შეფასებები აქტივის მოსალოდნელ გამოყენებასთან დაკავშირებით. ძირითადი საშუალებების მიმდინარე მომსახურების ხარჯების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში მათი გაწევისთანავე.

3.9 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივების შეფასება ხდება დაგროვილი ცვთისა და გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. ცვთის დარიცხვა ხდება იმგვარად, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების განაწილება მოხდეს აქტივის მთელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ცვთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის საფუძველზე - პროგრამული უზრუნველყოფისათვის 10 წელი.

3.10 საწესდებო კაპიტალი

საწარმოს დადგენილი საწესდებო კაპიტალის ოდენობა განისაზღვრება საწარმოს პარტნიორების მიერ და მასში ცვლილებები განხორციელდება მხოლოდ საწარმოს პარტნიორების გადაწყვეტილებით.

3.11 ამონაგები

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საგადასახადო კანონმდებლობით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

3.12 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი არის მიმდინარე პერიოდში გადასახდელი მოგების გადასახადი. მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადები ეფუძნება მიმდინარე წელს დივიდენდის სახით განაწილებულ მოგებას და საგადასახადო კანონმდებლობით განსაზღვრულ დაბეგვრის ობიექტებს.

3.13 დივიდენდები

საწარმოს შესაძლებლობა, გამოაცხადოს და გადაიხადოს დივიდენდი, ექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობის მიერ დაწესებულ წესებსა და პარტნიორთა გადაწყვეტილებებს.

დივიდენდები აღიარდება ვალდებულებების სახით იმ საანგარიშგებო პერიოდში, რომელშიც ის გამოცხადდა. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, ფინანსური ანგარიშგების წარდგენამდე გამოცხადებული დივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების შენიშვნებში

3.14 იჯარა

საოპერაციო იჯარა. როდესაც საწარმო წარმოადგენს მოიჯარეს იჯარაში, რომელიც არ ახდენს საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა რისკის და სარგებელის გადაცემას საწარმოსათვის მოიჯარის მხრიდან, მთლიანი იჯარის გადასახადი მიეკუთვნება წლიურ მოგებას ან ზარალს წრფივი მეთოდით იჯარის პერიოდის განმავლობაში. იჯარის პერიოდი წარმოადგენს არაგაუქმებად პერიოდს, რომლის განმავლობაშიც მოიჯარე ხელშეკრულებით ქირაობს აქტივს შემდგომი ვადით, რომლის განმავლობაშიც მოიჯარეს აქვს არჩევანი გააგრძელოს აქტივის იჯარით ფლობა შემდგომი გადახდით ან გადახდის გარეშე, როდესაც იჯარის დაწყებისას ფაქტია, რომ მოიჯარე გამოიყენებს არჩევანს.

3.15 შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

საწარმო აკეთებს შეფასებებს და მოსაზრებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივებისა და ფულადი ვალდებულებების მიმდინარე საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებები და გადაწყვეტილებები მუდმივად შეფასებულია და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც გონივრულია გარემოებების გათვალისწინებით. ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენის მქონე მიღებული გადაწყვეტილებები და შეფასებები, რომელთაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი გავლენა

იქონიონ აქტივების და ფულადი ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში, მოიცავს:

მატერიალური აქტივების და არამატერიალური აქტივების ექსპლუატაციის პერიოდი.

მატერიალური აქტივების ექსპლუატაციის პერიოდის შეფასება წარმოადგენს ხელმძღვანელობის მიერ გადაწყვეტილების მიღების საკითხს, რომელიც ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივის ექსპლუატაციის პერიოდის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, შეფასებულ ტექნიკურ, ფიზიკურ ცვეთას და გარემოებას, რომელშიც აქტივი მუშაობს. ცვლილებებმა ნებისმიერ ასეთ პირობებში ან შეფასებებში შეიძლება გამოიწვიოს სამომავლო ამორტიზაციის ნორმების კორექტირება.

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებების გაუფასურება.

დებიტორული დავალიანების გაუფასურება ეფუძნება საწარმოს მიერ კონკრეტული კლიენტის ანგარიშების ინდივიდუალურ შეფასებას. თუ საწარმო განსაზღვრავს, რომ არსებობს ობიექტური მტკიცებულება დებიტორული დავალიანების საკრედიტო რისკის მახასიათებლებით არსებული დებიტორის გაუფასურებისა, ის ასახავს გაუფასურების ზარალს.

3.16 ურთიერთდაკავშირებული მხარეები

ბალანსი და ტრანზაქციები ურთიერთდაკავშირებულ მხარეებთან. მხარეები, როგორც წესი, განიხილება, რომ ურთიერთდაკავშირებულნი არიან, თუ მხარეები საერთო კონტროლის ქვეშ იმყოფებიან ან თუ ერთ მხარეს აქვს სხვა მხარის კონტროლის უნარი ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს მეორე მხარეზე ან განახორციელოს ერთობლივი კონტროლი მეორე მხარეზე ფინანსური და ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღებაში. თითოეული დაკავშირებული მხარეთა ურთიერთობების გათვალისწინებით, ყურადღება მიექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

4. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების 2022 და 2021 წლის საბალანსო ღირებულების ცვლილებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	მანქანა-დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყ.	სულ
31 დეკემბერი 2020	5 383	35 441	8 350	161 000	109 265	319 440
შემოსვლა	2 234	17 072	186	13 500	-	32 993
გასვლა	-	-	-	(17 000)	-	(17 000)
31 დეკემბერი 2021	7 617	52 514	8 537	157 500	109 265	335 432
შემოსვლა	49 211	8 077	322	67 258	-	124 868
გასვლა	-	-	-	(53 000)	-	(53 000)
31 დეკემბერი 2022	56 828	60 590	8 859	171 758	109 265	407 300
ცვეთა და გაუფასურება						
31 დეკემბერი 2020	(2 721)	(15 956)	(4 552)	(103 400)	(80 925)	(207 554)
პერიოდის ცვეთა	(1 267)	(9 390)	(1 698)	(30 825)	(15 609)	(58 789)
გასვლა	-	-	-	17 000	-	17 000
31 დეკემბერი 2021	(3 988)	(25 345)	(6 250)	(117 225)	(96 535)	(249 343)
პერიოდის ცვეთა	(5 750)	(10 272)	(1 741)	(35 265)	(12 730)	(65 758)
გასვლა	-	-	-	53 000	-	53 000
31 დეკემბერი 2022	(9 738)	(35 617)	(7 990)	(99 490)	(109 265)	(262 101)
წმინდა საბალანსო ღირებულება						
31 დეკემბერი 2020	2 661	19 486	3 799	57 600	28 340	111 886
31 დეკემბერი 2021	3 628	27 168	2 287	40 275	12 730	86 089
31 დეკემბერი 2022	47 089	24 973	869	72 268	-	145 199

ძირითადი საშუალებების ცვეთა დარიცხულია წრფივი მეთოდით. აქტივები ბალანსში ასახულია თვითღირებულებიდან აკუმულირებული ცვეთის თანხის გამოკლებით.

5. არამატერიალური აქტივი

საწარმოს შეძენილი აქვს საბუღალტრო პროგრამა „ორისი“ და სადისტრიბუციო პროგრამა “FMG” დისტრიბუცია, რომელიც აღრიცხული აქვს სხვა არამატერიალური აქტივების ჯგუფში. საწყისი აღიარების შემდგომ საწარმო მის შეფასებას ახდენს თვითღირებულებიდან დაგროვილი ამორტიზაციის გამოკლებით. მომსახურების ვადა განსაზღვრულია 10 წელი.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებამ შეადგინა 2,579 ლარი (2021: 3,087 ლარი), ხოლო საანგარიშგებო პერიოდის ამორტიზაციამ 507 ლარი (2021: 507 ლარი).

6. ფულადი სახსრები

საწარმოს ფულადი სახსრები გააჩნია ეროვნულ ვალუტაში. სალაროს და საბანკო ანგარიშების ნაშთები 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრისათვის შემდეგია:

ნაღდი ფული სალაროში	27 207	18 877
ფული საბანკო ანგარიშებზე	710 653	8 691
სულ ფულადი სახსრები	737 860	27 568

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2022	2021
სავაჭრო მოთხოვნები	2 192 690	2 280 892
მოთხოვნა დაკავშირებული მხარეებისადმი (შენიშვნა 21)	5 865	-
საექვო მოთხოვნების რეზერვი	(48 599)	(68 457)
სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო	2 149 956	2 212 435
გადახდილი ავანსები	233 480	233 480
საექვო მოთხოვნების რეზერვი	(233 480)	-
გადახდილი ავანსები - ნეტო	-	233 480
დაკავშირებულ მხარეზე გაცემული სესხი (შენიშვნა 21)	203 208	-
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2 353 164	2 445 914

საწარმო საექვო ვალების დარეზერვებას ახორციელებს მოთხოვნების ინდივიდუალური შეფასების მეთოდით.

საწარმომ 2022 წლის საანგარიშგებო პერიოდში აღიარა სავაჭრო მოთხოვნების 77,231 ლარის და გადახდილი ავანსების - 233,480 ლარის გაუფასურების ზარალი (2021 წ: 37,676 ლარი).

ქვემოთ ცხრილი გვიჩვენებს რეზერვის ცვლილებას 2022 და 2021 წლების საანგარიშგებო პერიოდში:

	2022	2021
ნაშთი პერიოდის დასაწყისში	(68 457)	(30 781)
რეზერვის შექმნა	(310 711)	(37 676)
რეზერვის შემცირება	97 089	-
ნაშთი პერიოდის დასასრულს	(282 079)	(68 457)

8. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

საწარმოს 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2022	2021
საქონელი	262 424	867 212
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	12 544	12 397
სულ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	274 968	879 609

საწარმო მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისათვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულას. თვითღირებულება მოიცავს საქონლის შეძენის და ტრანსპორტირების ღირებულებას. 2022 წლის საანგარიშგებო პერიოდის ხარჯად აღიარებული მარაგის თვითღირებულებამ შეადგინა 39,333,362 ლარი (2021 წელს 31,392,469 ლარი).

2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული სასაქონლო - მატერიალური ფასეულობები წარმოადგენს საწარმოს მიერ აღებული საბანკო სესხის გირავნობის საგანს (შენიშვნა 10).

9. სხვა მიმდინარე აქტივები

საწარმოს 2022 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სხვა მიმდინარე აქტივები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2022	2021
წინასწარ ანაზღაურებული მომსახურება	2 869	3 972
წინასწარ გადახდილი ხელფასი	3 320	5 117
სხვა წინასწარ გაწეული ხარჯები	64 549	99 204
მისაღები პროცენტები დაკავშირებული მხარიდან (შენიშვნა 21)	2 116	-
სულ სხვა მიმდინარე აქტივები	72 854	108 292

10. მოკლევადიანი სესხები

საწარმოს 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოკლევადიანი სესხები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2022	2021
ნაშთი პერიოდის დასაწყისში	1 221 000	117 087
სესხის მიღება	15 939 646	10 781 859
სესხის ძირის დაფარვა	(15 902 766)	(9 677 946)
დარიცხული პროცენტი	79 384	43 026
დაფარული პროცენტი	(79 384)	(43 026)
ნაშთი პერიოდის დასასრულს	1 257 880	1 221 000

საწარმოს სს „თიბისი ბანკი“-სგან მიღებული აქვს ორი სესხი ეროვნულ ვალუტაში შემდეგი პირობებით:

- საკრედიტო ხაზი N173723-12118677 - სესხის თანხა 500,000 ლარი, წლიური საპროცენტო განაკვეთი 13%, გაცემის თარიღი 2022 წლის 27 ივლისი, დაფარვის თარიღი 2024 წლის 14 ივლისი. უზრუნველყოფილია მესამე პირების ქონებით.
- საკრედიტო ხაზით N173723-11674774 - სესხის თანხა 1,000,000 ლარი, წლიური საპროცენტო განაკვეთი 13%, გაცემის თარიღი 2022 წლის 10 ნოემბერი დაფარვის თარიღი 2023 წლის 17 ნოემბერი. უზრუნველყოფილია მესამე პირების ქონებით.

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2022	2021
სავაჭრო ვალდებულებები	2 169 501	1 922 260
მიღებული ავანსები	4 718	1 063
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე	47 071	19 418
ვალდებულებები დაკავშირებული მხარეებისადმი (შენიშვნა 21)	146	-
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2 221 436	1 942 741

12. საგადასახადო ვალდებულებები

საგადასახადო ვალდებულებები 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2022	2021
ანგარიშწორება ბიუჯეტთან	11 369	2 200
გადასახდელი მოგების გადასახადი - განაწილებული მოგების გარდა	35 860	-
საშემოსავლო გადასახადები	12 379	5 149
დღგ	-	(4)
ქონების გადასახადი	167	-
სულ საგადასახადო ვალდებულებები	59 775	7 346

13. ამონაგები

2022 და 2021 წლების საანგარიშგებო პერიოდის ამონაგები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2022	2021
შემოსავალი რეალიზიციიდან	43 007 032	34 641 345
შემოსავალი მომსახურებიდან	683 252	227 269
გაყიდული საქ. დაბრუნება და ფასდათმობა	(45 426)	(37 636)
სულ ამონაგები	43 644 858	34 830 978

საწარმოს ამონაგები მოიცავს უალკოჰოლო სასმელებისა და სარეკლამო საქონლის რეალიზაციას.

14. სხვა შემოსავლები

2022 და 2021 წლების საანგარიშგებო პერიოდის სხვა შემოსავლები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2022	2021
შემოსავალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან	29 419	-
შემოსავალი მარაგის ზედმეტობიდან	5 924	511
შემოსავალი უსასყიდლოდ მიღებული მარაგიდან	32 339	-
შემოსავალი კრედიტორის ჩამოწერიდან	49 043	108
შემოსავალი ა/მანქანის დაზღვევიდან	1 265	12 186
შემოსავალი საწვავის ბარათების უსასყიდლოდ მიღებიდან	180	79
შემოსავალი საშემოსავლო შედავათიდან	-	27 037
შემოსავალი იჯარიდან	3 559	-
სულ სხვა შემოსავლები	121 729	39 921

15. მიწოდების დანახარჯები

საწარმო 2022 და 2021 წლის საანგარიშგებო პერიოდში მიწოდების დანახარჯები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2022	2021
შრომის ანაზღაურება	(860 121)	(678 639)
დაზღვევა	-	(4 728)
საწყობის იჯარა	(183 898)	(132 203)
GPS მომსახურება	(593)	-
საწვავის ხარჯი	(420 293)	(271 966)
სხვა მიწოდების ხარჯი	(43 945)	-
რეკლამის ხარჯი	(425 266)	-
ა/მანქანის იჯარის ხარჯი	(86 578)	(80 481)
ა/მანქანის რეცხვის ხარჯი	(1 168)	(1 521)
პარკინგის ხარჯი	-	(134)
ტელეფონის ხარჯი	(337)	-
საკასო აპარატის ხარჯი	(1 270)	(1 299)
თხევადი გაზის ხარჯი	(3 877)	(3 208)
აპარატის იჯარა	(351)	(444)
ა/მანქანის მიმდინარე რემონტის ხარჯი	(113 695)	(79 656)
სულ მიწოდების დანახარჯები	(2 141 392)	(1 254 279)

16. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2022	2021
შრომის ანაზღაურება	(679 463)	(1 197 817)
საკანცელარიო ხარჯი	(8 748)	(6 103)
საპენსიო პრემიის ხარჯი	(25 779)	(33 588)
ა/მანქანის მიმდინარე რემონტის ხარჯი	(6 069)	(15 154)
დაზღვევის ხარჯი	(14 726)	(591)
რეკლამის ხარჯი	(60)	(72 336)
იჯარის ხარჯი	(61 017)	(61 017)
დაცვის ხარჯი	(22 034)	(18 051)
ა/მანქანის იჯარის ხარჯი	(9 000)	(5 625)
კომუნალური ხარჯი (ელ.ენერგია, წყალი)	(13 462)	(9 632)
ტელეფონის ხარჯი	(1 881)	(1 432)
კომპიუტერის ხარჯი	(1 757)	(1 914)
დასუფთავების მოსაკრებელი	(1 911)	(1 617)
ცვეთა და ამორტიზაცია	(66 266)	(59 297)
საექვო მოთხოვნ. დაკავშირებული ხარჯები	(310 711)	(37 676)
ბანკის მომსახურების ხარჯი	(6 107)	(4 237)
სხვა საგადასახადო ხარჯი	(136 498)	-
სხვა საერთო ხარჯი	(27 232)	(28 727)
უსასყიდლო საქონლის ხარჯი	-	(61 796)
დოკუმენტურად დაუდასტურებული ხარჯი	(5 846)	(2 773)
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	(1 398 567)	(1 619 383)

17. სხვა ხარჯები

სხვა ხარჯები მოიცავს საანგარიშგებო პერიოდში გამოვლენილ საწყობის დანაკლისის შედეგად მარაგის ჩამოწერის ხარჯს, რომელმაც ჯამში შეადგინა 371,136 ლარი (2021წ: 0 ლარი)

18. წმინდა ფინანსური ხარჯი

წმინდა ფინანსური ხარჯი 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2022	2021
საპროცენტო შემოსავალი (დაკავშ. მხარე. შენიშვნა 21)	2 116	-
საპროცენტო ხარჯი (ბანკიდან მიღებული სესხის)	(79 384)	(43 026)
სულ წმინდა ფინანსური ხარჯი	(77 268)	(43 026)

19. მოგების გადასახადი

საწარმოს მოგების გადასახადი 116,520 ლარი შეადგენს 2022 წელს გაცემულ დივიდენდებზე 660281 ლარზე ღარიცხული მოგების გადასახადის ხარჯს.

20. პოტენციური ვალდებულებები

საწარმოს ბიზნეს საქმიანობა წარმოებს საქართველოში. საქართველო ანხორციელებს ეკონომიკურ რეფორმებს და საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნების მიხედვით ავითარებს სამართლებრივ, საგადასახადო და სარეგულაციო ბაზას. ქართული ეკონომიკის მომავალი მდგრადობა ბევრად დამოკიდებული ამ რეფორმებზე და იმაზე, თუ ქვეყნის ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯები რამდენად იქნება ეფექტური ეკონომიკური, ფინანსური და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განვითარებისათვის. ჩვეულებრივ საქმიანობის ფარგლებში შესაძლებელია საწარმოს წინააღმდეგ სარჩელი აღიძრას. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ თუ რაიმე სარჩელის გამო საწარმოს დაეკისრება პასუხისმგებლობა, მისი მოცულობა უარყოფითად არ იმოქმედებს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე ან სამომავლო საქმიანობის შედეგებზე.

საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა, არსებული რედაქციით ნაწილობრივ ბუნდოვანია და ექვემდებარება სხვადასხვანაირ ინერპრეტაციას, შერჩევით და არათანმიმდევრულ გამოყენებას და შესაძლებელია საწარმოს ისეთი ოპერაციები და საქმიანობა დადგეს მომავალში ნებისმიერ დროს ეჭვქვეშ, რომლებიც წარსულში ეჭვქვეშ არ დამდგარა. ამის გამო საწარმოს შესაბამისი ორგანოების მიერ შეიძლება დაეკისროს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები.

საგადასახადო ორგანოების მიერ შემოწმებას ექვემდებარება სამი კალენდალური წელი. ზოგ შემთხვევაში საგადასახადო შემოწმებამ შეიძლება უფრო დიდი პერიოდიც მოცვას. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მოქმედ კანონმდებლობას სათანადოდ განმარტავს და რომ საწარმოს ღარიცხული აქვს ყველა სათანადო გადასახადი.

საოპერაციო იჯარასთან დაკავშირებული პირობითი მოთხოვნები

საწარმოს გაფორმებული აქვს საოპერაციო იჯარის ხელშეკრულება (უძრავ და მოძრავ ქონებაზე) ეროვნულ ვალუტაში, შემდეგ ფართზე: ქ. ქუთაისი, ნიკეას მე - 5 ჩიხი N6.

საწარმოს მომავალი ერთწლიანი გადასახდელი საიჯარო ქირა ჯამში შეადგენს 510 000 ლარს.

21. საბალანსო ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

მსს ფასს-ის 33-ე განყოფილების „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ მიხედვით მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ: პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებენ, კონტროლდებიან, ან ერთობლივი კონტროლის ქვეშ არიან ორგანიზაციასთან, მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მასზე, ან ფლობენ საერთო კონტროლს მასზე; არიან ძირითადი მმართველი პერსონალი ან მათი ოჯახის წევრები; წარმოდგენენ ზემოთ ჩამოთვლილი პირების მიერ კონტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს; ან პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია ხმის უფლება ასეთ საწარმოში ან მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მასზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში 2022 და 2021 წლების განმავლობაში წარმოდგენილია ქვედა ცხრილში:

2022 წელი	უმაღლესი მენეჯმენტი	სხვა დაკავშ. მხარეები	სულ
საპროცენტო შემოსავალი	2 116	-	2 116
იჯარის ხარჯი	5 400	309 585	314 985
ხელფასის ხარჯი	79 181	80 473	159 654

2021 წელი	უმაღლესი მენეჯმენტი	სხვა დაკავშ. მხარეები	სულ
იჯარის ხარჯი	1 125	274 202	275 327
ხელფასის ხარჯი	704 095	56 563	760 658

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციების შედეგად მიღებული ნაშთები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია ქვედა ცხრილში:

31.დეკ.2022	უმაღლესი მენეჯმენტი	სხვა დაკავშ. მხარეები	სულ
სავაჭრო მოთხოვნები	5 865	-	5 865
მოთხოვნა გაცემული სესხიდან	203 208	-	203 208
მისაღები პროცენტები	2 116	-	2 116
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	146	31 715	31 861

31.დეკ.2021	უმაღლესი მენეჯმენტი	სხვა დაკავშ. მხარეები	სულ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	900	20 000	20 900

22. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საწარმომ 2022 წლის ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე პერიოდში:

ა) მოახდინა არსებული 500,000 ლარიანი სესხის, (საკრედიტო ხაზი N173723-12118677), განახლება ახალი საკრედიტო ხაზით, N173723-12678299 - სესხის თანხა 500 000 ლარი, წლიური 12.3%, დაფარვის ვადა 12 თვე.

ბ) დაფარა 1,000,000 ლარიანი სესხი (საკრედიტო ხაზი N173723-11674774).

საწარმომ 2022 წლის ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე პერიოდში სს „თიბისი ბანკი“-სგან დამატებით აიღო ორი მოკლევადიანი სესხი. სესხები უზრუნველყოფილია მესამე პირების ქონებით:

1. საკრედიტო ხაზი კონტრაქტის N173723-12517828 – 750,000 ლარიანი, წლიური 12.3%, დაფარვის ვადა 12 თვე.
2. საკრედიტო ხაზი კონტრაქტის N173723-12893377 – 1,000,000 ლარიანი, წლიური 12.3%, დაფარვის ვადა 12 თვე.

ასევე, შეძენილი იქნა 7 ერთეული სატვირთო ავტომანქანა ლოჯისტიკის სამსახურისთვის და 2 ერთეული მსუბუქი ავტომანქანა გაყიდვების გუნდისთვის.

23. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებართულია 2023 წლის 22 ნოემბერს.

შპს „კოკა-კოლა იმერეთი“

მმართველობის ანგარიში

2022 წელი

შინაარსი

ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ.....	3
თავი I.....	4
თავი II.....	5
თავი III.....	5
თავი IV.....	5
თავი VI.....	8

ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „კოკა-კოლა იმერეთი“, შემდგომში „კომპანია“, წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნებულია საქართველოში და რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 05.04.2006 წელს, რეგისტრაციის ნომერი- 445/021, ს/კ - 212871230.

2022 წლის საანგარიშო პერიოდში კომპანიის 100% წილის მფლობელი პარტნიორია საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი ქართლოსი კვიტივაძე (პ/ნ 60003010445), რომელიც არის ასევე კომპანიის დირექტორი და ხელმძღვანელობს მის ყოველდღიურ საქმიანობას.

კომპანიის იურიდიული მისამართია _ საქართველო, ქ. ქუთაისი, ნიკეას მე-5 ჩიხი №6, ნაკვ 2-4. მის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს უალკოჰოლო სასმელების დისტრიბუცია.

საქმიანობის მიმოხილვა

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კომპანია დაარსდა 2006 წელს. კომპანია ძირითადად ეწევა სს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას“ წარმოებული პროდუქციის (ბრენდები: „კოკა-კოლა“, „ფანტა“, „სპრაიტი“, „ფიუზ თი“, „კაპი“, „ენერჯი“, „შვეპსი“, წყალი „მთის“) რეალიზაციას და წარმოადგენს მის რეგიონალურ დილერს, თუმცა 2022 წელს ასევე ახდენდა შპს „საირმე მინერალ ვოთერსის“ (ბრენდები: „საირმე“, „ნაკადული“), შპს „მტევინოს“ ალკოჰოლური სასმელებისა და შპს „შაპიტოს“ წარმოებული სასაჩუქრე ყუთების რეალიზაციას. კომპანიის საქმიანობის არეალია იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონები. კომპანია მზარდია, თუ დაარსების მომენტში დასაქმებული იყო 16 ადამიანი, დღეისათვის თანამშრომელთა რაოდენობა 77-ს შეადგენს.

კომპანია ბაზირებულია იჯარით აღებულ სასაწყობე ფართში. ფართი განთავსებულია 5327 კვ.მ მიწის ნაკვეთზე, სასაწყობე ფართი 1168,5 კვ.მ-ს შეადგენს. მიწის ნაკვეთზე ასევე განთავსებულია 78.91 კვ.მ საოფისე და 72.1 კვ.მ დამხმარე ფართები. 2022 წელს კომპანიის მზარდი საჭიროების გამო მეიჯარის მიერ დამატებით აიგო 730 კვ.მ სასაწყობე და 115 კვ.მ დამხმარე ფართები, რომელთა მშენებლობა უკვე დასრულებულია, თუმცა ექსპლოატაციაში არ არის მიღებული. კომპანია ფლობს 7 სატვირთო, 9 მსუბუქ ავტომობილს და ერთ ავტოდამტვირთველს. ასევე შპს „ლოჯისტიკა იმერეთისგან“ იჯარით აქვს აღებული 9 სატვირთო ავტომანქანა და 1 ავტოდამტვირთველი.

კომპანიის მეიჯარე შპს „ლოჯისტიკა იმერეთი“ (ს/კ 412724887) წარმოადგენს დაკავშირებულ კომპანიას და მისი 50% წილის მფლობელი და დირექტორი არის ასევე ქართლოსი კვიტივაძე.

თავი I

საქმიანობის ანგარიში


შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მართვა

საზოგადოების დირექტორი

საზოგადოების წესდების თანახმად, ერთპიროვნული აღმასრულებელი ორგანოს უფლებამოსილებას ახორციელებს დირექტორი.

კომპანიის დირექტორი არის კომპანიის 100% წილის მფლობელი ქართლოსი კვიტივაძე.

ორგანიზაციული სტრუქტურა



თავი II

კომპანიის განვითარების პერსპექტივები

კომპანია ბოლო წლებში არის დინამიურად მზარდი, რაც განპირობებულია, როგორც ზოგადად უაღკოპოლო სასმელების ბაზრის მოცულობის ზრდით, ასევე უშუალოდ კომპანიის საბაზრო წილის გაზრდით. ამ ეტაპზე „კოკა-კოლას“ პროდუქციას უაღკოპოლო გამაგრირებული სასმელების ბაზრის დაახლოებით 34%-იანი წილი უჭირავს და ტენდენცია მზარდია. კომპანიის შემოსავლების ზრდას უზრუნველყოფს პერმანენტული აქტიური მარკეტინგული კამპანიის წარმოება, სავაჭრო ობიექტებზე მაცივრების სულ უფრო მეტი რაოდენობით და პრიორიტეტულ პოზიციებზე განთავსება, პროდუქციის ასორტიმენტის გაფართოება, ბრენდის ლოიალობის მაჩვენებლის მუდმივი ზრდა, მიწოდების ეფექტურობის გაუმჯობესება.

თავი III

განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა


კომპანიის შეუფერხებელი განვითარებისთვის კომპანია ახდენს სამუშაო არეალში სადისტრიბუციო ავტომატების პარკის გაზრდას. 2022 წელს დამატებით შეძენილი იქნა 2 სადისტრიბუციო ავტომატის, მოხდა უშუალოდ თითოეულ ბორტზე ერთი თანამშრომლის დამატება, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა კომპანიის ლოჯისტიკური შესაძლებლობები. არსებული ტენდენცია შენარჩუნებული იქნება 2023 წლისთვისაც. დაგეგმილია მინიმუმ 5 ერთეული სატვირთო ავტომატის დამატება, 2 ერთეული ელექტრო სასაწყობე დამტვირთავის შეძენა, სასაწყობე ფართის გადიდება. ცვლილებები იქნება ლოჯისტიკის სამსახურშიც, გაიზრდება სადისტრიბუციო მანქანების რაოდენობა, რათა მაქსიმალურად მოხდეს სამუშაო არეალში არსებული ობიექტების შესაძლებლობების ათვისება.

თავი IV

საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები


კომპანია წლიდან წლამდე ზრდის ინვესტიციებს ბიზნესის განვითარებაში, რის შედეგადაც აღინიშნება დასაქმებულთა რაოდენობის, აქტივების, შემოსავლების პერმანენტული ზრდა. დასტურად წარმოვადგენთ რამდენიმე სქემას:

1. ბოლო 3 წელში აქტივების ზრდის ტენდენცია




2. შემოსავლების დინამიკა 2020 წლიდან 2022 წლის ჩათვლით

შემოსავლის ზრდის დინამიკა



3. დასაქმებულთა რაოდენობის დინამიკა 2020-2022 წლებში

დასაქმებულთა რაოდენობის ზრდის დინამიკა



4. მარაგების და დებიტორული დავალიანების ბრუნვაობა

დასახელება	2022	2021	კომენტარი
Days Inventory / მარაგების დღეები	5,36	7,59	მომწოდებელს კომპანიისგან ქვეიჯარით აქვს აღებული სასაწყობო ფართი და უწყვეტი მიწოდების უზუნველსაყოფად განათავსებს საკუთარ სასაქონლო მარაგებს, შესაბამისად კომპანიას უჩნდება შესაძლებლობა შეამციროს აუცილებელი მარაგები და საჭიროებისამებრ მოახდინოს მისი შემენა
Days Receivables / დებიტორული დავალიანების თანხის მიღების დღეები	20,39	20,59	მიუხედავად იმისა, რომ გაყიდვებში იზრდება ქსელური ობიექტების წილი, დებიტორული დავალიანების მიღების დღეები არ გაზრდილა

თავი VI

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

კომპანიის მიერ საქმიანობის წარმატებით განხორციელებისთვის მნიშვნელოვანია რისკების მართვა. ჩვენთვის რისკის მართვის მთავარი ამოცანაა რისკების იდენტიფიკაცია და საპასუხო ღონისძიებების გატარება. კომპანიის ძირითად რისკებად მივიჩნევთ:

1. საპროცენტო განაკვეთის რისკი - კომპანია სარგებლობს საკმაოდ მოცულობითი საბანკო კრედიტით და შესაბამისად საპროცენტო განაკვეთის ცვლილება შეიძლება ჩაითვალოს ერთ-ერთ რისკად. ბოლო პერიოდში საპროცენტო განაკვეთები დასტაბილურდა და კლების ტენდენციაც შეინჩნევა, ამასთან კომპანიას აღებული აქვს მოკლევადიანი სესხები (განახლებადი საკრედიტო ხაზები), შესაბამისად საპროცენტო განაკვეთი ფიქსირებულია და ხელშეკრულების მოქმედების პერიოდზე მისი გაზრდის საშიშროება არ არსებობს.
2. კადრების გადინების რისკი - იმ პირობებში, როდესაც ქვეყანაში რეალურად არსებობს კადრების მნიშვნელოვანი დეფიციტი და დიდია ქვეყნიდან კადრების გადინება, კომპანია მაქსიმალურად ცდილობს შეინარჩუნოს გამოცდილი და კვალიფიციური კადრები, თუმცა ლოჯისტიკის რგოლში ჯერჯერობით მოძრაობა მაინც საკმაოდ დიდია. კადრების დენადობის შესამცირებლად კომპანია თანამშრომლებს უქმნის კომფორტულ სამუშაო პირობებს, იცავს შრომის უსაფრთხოების წესებს, ატარებს შესაბამის ინსტრუქტაჟებს, გასცემს სამართლიან ანაზღაურებას.

3. **ქონებრივი რისკები** - დაკავშირებულია საწარმოს ქონების დაკარგვის ალბათობასთან, რაც გამოწვეულია ქურდობის, დაუდევრობის, ტექნიკური და ტექნოლოგიური სისტემების უსაფრთხოების უგულებელყოფის შედეგად. ასევე ქონება შეიძლება დაზიანდეს ხანძრის, წყალდიდობის, ქარიშხლის ან მრავალი სხვა მიზეზის გამო. ამ რისკების შესამცირებლად:
- ✓ გაზრდილი გვაქვს პასუხისმგებელი პირების და უშუალო ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა;
 - ✓ ვაზღვევთ ქონებას, როგორც სატრანსპორტო საშუალებებს, ასევე იჯარით აღებულ ქონებას;
 - ✓ სატრანსპორტო საშუალებებს უტარდება სისტემატური ტექნიკური შემოწმებები და საჭიროების შემთხვევაში დროული შეკეთება.
4. **მომწოდებელთან დაკავშირებული რისკი** - კომპანიის ძირითადი მომწოდებელია სს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია“, დაარსების დღიდან შპს „კოკა-კოლა იმერეთი“ წარმოადგენს მომწოდებლის ყველაზე მსხვილ რეგიონალურ დილერს, მომწოდებელთან გვაქვს ჯანსაღი ფინანსური ურთიერთობა და კომპანია ზედმიწევნით იცავს მომწოდებლის მიერ დაწესებულ მაღალ სტანდარტებს.

მმართველობის ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა მმართველობითი ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა, 2023 წლის 22 ნოემბერს.

შპს „კოკა-კოლა იმერეთის“ დირექტორი:

/ქ. კვიტივაძე/

3. ქონებრივი რისკები - დაკავშირებულია საწარმოს ქონების დაკარგვის ალბათობასთან, რაც გამოწვეულია ქურდობის, დაუდევრობის, ტექნიკური და ტექნოლოგიური სისტემების უსაფრთხოების უზულებელყოფის შედეგად. ასევე ქონება შეიძლება დაზიანდეს ხანძრის, წყალდიდობის, ქარიშხლის ან მრავალი სხვა მიზეზის გამო. ამ რისკების შესამცირებლად:
- ✓ გაზრდილი გვაქვს პასუხისმგებელი პირების და უშუალო ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა;
 - ✓ ვაზღვევთ ქონებას, როგორც სატრანსპორტო საშუალებებს, ასევე იჯარით აღებულ ქონებას;
 - ✓ სატრანსპორტო საშუალებებს უტარდება სისტემატური ტექნიკური შემოწმებები და საჭიროების შემთხვევაში დროული შეკეთება.
4. მომწოდებელთან დაკავშირებული რისკი - კომპანიის ძირითადი მომწოდებელია სს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია“, დაარსების დღიდან შპს „კოკა-კოლა იმერეთი“ წარმოადგენს მომწოდებლის ყველაზე მსხვილ რეგიონალურ დილერს, მომწოდებელთან გვაქვს ჯანსაღი ფინანსური ურთიერთობა და კომპანია ზედმიწევნით იცავს მომწოდებლის მიერ დაწესებულ მაღალ სტანდარტებს.

მმართველობის ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა მმართველობითი ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა, 2023 წლის 22 ნოემბერს.

შპს „კოკა-კოლა იმერეთის“ დირექტორი:  /ქ. კვიტივაძე/

